F262 N556

197

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 16 ოქტომბერი 1915 წ. № 118

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" [illegible] კანტორაში ყოველდღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. щикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ მიმდინარე 1915 წლის, 18 ოქტომბერს, **კვირას, დილის 10 საათზე, ახალ კლუბის** დარბაზში (სასახლის ქ.) დანიშნულია წევრთა

ორაჩვეულებრივი კრება

განსახილველია: ახალი წევრების მიღება, წარსული წლის ანგარიში, გამგეობის და საზოგადოების განყოფილებათა მოხსენებანი, ხიმშილობა, გამოქცეულთა საკითხი, სარევიზიო კომისიის არჩევა, ინსტრუქციის მიღება, ახალ ქართულ კულტურულ კავშირთა კავშირში მონაწილეობის მიღება და სხ. 3—2

„ახალი კლუბის"

მამასახლისთა საბჭო

ამით აცნობებს კლუბის წევრთა, რომ წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობისა გამო 11 ოქტომბერს არ შესდგა ხდომა. კლუბის წევრთა საგანგებო კრება დაინიშნა **კვირას 18 ამა ოქტომბრისათვის.** კრება დაიწყება კლუბის სადგომში, დღით 12 საათზე. კლუბის წესდების მე-29—8 თანახმად კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწრას. განსახილველია: მიმდინარე საქმეები და არჩევნები წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოგვეპოვება

ვკისრულობთ

გადაკეთებით, გაწმენდით და ახლათ შეკერვით სამხედრო და სამოქალაქო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სამოქალაქო

„კოტელოკებს" და „ცილინდრებს".

აგრეთვე ვწმენდავთ კლიუზს, ხამირდს, და ვაკეთებთ გინგლს.

გახუხუხებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოგვეპოვება

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ **მანქანაზე** მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. ბუათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

ექიმი

გ. ღ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

გოსპ. ჰოსპიტლის ექიმი

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ვავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის აბულაძისა

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო" გადაეცა კანტორა „განათლებას". თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას".

„საქართველოს" რედაქცია.

ახლად დაარსებული საამხანაგო

ფქვილის საწყობი „რაჭა"

ჰყიდის მეპურეებზე და ქერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —19

ჩვეულებისამებრ

ვასწავლი

ქართულ

„სიმღერა-გალობას"

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევაც შეიძლება ეკლესიებში და კონცერტებზე. ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ

მიხეილ კავსაძესთან.

ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში, ორშაბ., ოთხშაბ. და [illegible] საღამოს 7—[illegible] [illegible] ანჩისხატის ტაძარში, სადაც მუდმივ გალობს გუნდი ნაწილი. როგორც ახლებს, ისე ძველ ჩემ გუნდის წევრთ ვთხოვ მობრძანდნენ აღნიშნულ დღეებში.

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

ომის გარშემო

ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის თითქმის მდგომარეობა გამოირკვა. რუმინეთმა არ დაარღვია ნეიტრალობა და მიუხედავად მოკავშირეთა მოლოდინისა, მათ მხარეზე გამოსვლა არ მოინდომა და მომავალს უცქერის.

უკანასკნელი დეპეშები გადმოგვცემენ, რუმინეთის მეფეს სურს სამინისტროს სათავეში მოაქციოს ცნობილი გერმანოფილი მინისტრებიო. ესეთი პოლიტიკური აქტი თუ მოხდა, კვლავ დიდი მარცხი იქნება მოკავშირეთათვის.

საბერძნეთმაც არ გაამართლა მოლოდინი და არ დაიცვა სერბეთთან ხელშეკრულობა. მან პირდაპირ უკუაგდო მოკავშირეთა თავაზი, მათი დაპირებანი, თვით მუქარასაც კი არ მოერიდა და კვლავ ნეიტრალობა არჩია. თვით კუნძული კვიპროსის დაპირებამაც არ გასჭრა, ეს იმ კუნძული კვიპროსის დაპირებამ, რომელიც მუდამ ბერძენთა ოცნებას შეადგენდა. ვინ იცის, რაოდენი ზრუნვა, რაოდენი ხარჯი არ გაუწევიათ ბერძნებს ამ კუნძულის ხელში ჩასაგდებათ, არ მოჰრიდებიან სისხლსაც კი, რომ ოსმალებისათვის წაერთმიათ, მაგრამ საბერძნეთმა დღეს მის გულისთვისაც კი ხელი არ გაანძრია. ამისი მიზეზი გახლავთ შიშიც ერთის მხრით და მეორეთი გერმანელთა პოლიტიკის გამარჯვება.

როგორია მდგომარეობა სერბეთისა ოფიციალური ცნობებით არა სჩანს, რადგან ასეთს ცნობებს არ იძლევიან. მაგრამ რამდენადაც კერძო კორესპონდენტების ცნობებზე დამყარება შეიძლება, მათი მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ეს ასეც უნდა იყვეს, რადგანაც სერბეთს თითქმის ირგვლივ ესევა მტერი. როგორც ოფიციალ ცნობებიდან სჩანს, ბულგარებმ საბერძნეთის თავზე ე. ი. ჩრდილოეთით გადულახავთ თითქმის სერბეთის ნახევარი ტერიტორია და სალონიკიდან მომავალ რკინის გზის გზაჭრას ემუქრებიან ქალაქ ველესთან და ზარბაზნებს ესვრიან. ჩრდილოეთიდან მოწოლილი გერმანელთა და ავსტრიელთა ჯარები ზოგ ალაგას კიდეც შეერთებულან ბულგარელებთან.

მთაშაველთა და ალბანელთა მხრითაც გერმანელთა და ავსტრიელებთან ერთად ალბანელებიც მოაწვნენ. ერთის სიტყვით, სერბეთი ჭანჭ მოჰერილია და დახრჩობას უქადიან. მოკავშირეებმა დროზე ვერ მიაშველეს ძალები და მომავალი ჯარებიც არაა საკმარისი.

ვინც კიდევ ჯერ სასოწარკვეთილებას არ მისცემია, ისინი ამხნევებენ სუსტებს და მშიშარებს და ამბობენ, რომ სჯობს მონურ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილიო. როგორც ისმის სკუპჩინასაც გადაუწყვეტია თითქმის ერთხმად, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იომონ.

რაც შეეხება ჩრდილოეთის ასპარეზს, სულ უკიდურეს ჩრდილოეთის ხაზზე გერმანელებმა შემოტევა გააძლიერეს, რის გამო დვინსკისა და რიგის მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქმნა. სჩანს აქეთ ყინვებმა მიწა უკვე გაამაგრა, ასე რომ გერმანელებმა, როგორც ოფიციალი ცნობებიდან სჩანს, მძიმე ზარბაზნები დაუშინეს რიგა-დვინსკის ხაზს. უკანასკნელი ცნობებით გერმანელები ძლიერ დაუახლოვდენ რიგას.

რიგა-დვინსკის ხაზის ხელში ჩაგდება დიდ წარმატებას მისცემს გერმანელებს, ამიტომაც აქ რუსის ჯარი მკაცრს წინააღმდეგობას უწევს მათ. სხვა ადგილებში დიდი ცვლილება არა მომხდარა რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთის მხრით თითქოს რაღაც გამოცოცხლება ეტყობა ომს. შემოტევის ინიციატივას აქ ეხლა ოსმალები იჩენენ. როგორც ცნობები მოვიდა გერმანეთს და ოსმალეთს სპარსეთიც გადუბირებიათ. თუ ეს მართალია, აქ მოულოდნელი არა არის რა, რადგანაც სპარსეთის საქციელი დღემდისაც არ იყო მოკავშირეთადმი გულწრფელი. ამის შესახებ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა სახელმწიფო სათათბიროს წინაშეც მოიხსენია ორჭოფული და არასაიმედო რყევა სპარსეთისა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენ იქით საკმაო ძალა გვყავს, რომ სპარსეთს გავუმკლავდეთ.

მართალია სპარსეთი, როგორც სახელმწიფო სუსტია, მაგრამ საომარი მასალა ხალხი ბევრია იქ და თუ ეს ცნობები მართალი გამოდგა, ამასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ომის ბედ-იღბლისათვის.

გი—გო.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბურცევი და პარვუსი.

ბურცევის წერილი მოვიდა მოსკოვში ალექსინსკის წერილის საპასუხოდ, სადაც ნათქვამია, პარვუსი პროვოკატორიაო. ამაზე ბურცევი ამბობს: მე ბევრი რამ ვიცი პარვუსის შესახებ. ვიცი ისიც, თუ რამ აიძულა იგი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოჰშორებოდა. პარვუსი პროვოკატორი კი არა, არამედ მაზე უარესიცაა. იგი ვილჰელმის აგენტია. მაგრამ ეს იგივე არ არის, რასაც საზოგადოდ გვაუწყებს ცნება „პროვოკატორი“.

ბრძოლა ვარნასთან.

ბულგარებმა უკვე დაიჭირეს ვარნი. ვარნისა და სალონიკის შუა ბულგარები ზარბაზანს უშენენ რკინის გზას და მიმომსვლელ მატარებლებს. სალონიკში მრავალი მატარებელი მოვიდა დახვრეტილ-დაცხავებული.

ფრანგების რაოდენობა.

„Triduna“ იუწყება, გუშინ სალონიკიდან 30 ათასამდე ფრანგი გაეშურა სამხრეთ მაკედონიისკენაო. ეს იმის მომასწავებელია, რომ მდგომარეობა სერბეთისა ფრიად სერიოზულია.

ბრძოლა ბელგრადში.

ბერლინის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ სერბელთა გმირულ თავგანწირულებას ბელგრადის დაკარგვის დროს. უკანასკნელ ჟამს ბელგრადში სერბები რკინის სიმტკიცით იბრძოდნენ, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო. ყველაზე უმტკიცესი ბრძოლა მოხდა ბელგრადის სამხრეთით მთა-გორიან ადგილებში, სადაც ინგლისელთა გეგმით აგეს სიმაგრეები. მთელი მიდამო თუ ველი სულ დანაღმული იყო. მაგრამ მტრის არტილერიის ქარცეცხლით ძირიან-ფესვიანად განადგურებულ იქმნა. ეს ისეთი ჯოჯოხეთური ქარცეცხლი იყო, რაიც აღარას დროს არ წაიშლება იქ მონაწილეთა გონებაში. სერბებმა დაჰკარგეს მთელი საომი წყება უმტკიცესი სიმაგრეებისა და ახლა ავალის მწვერვალებისკენ იქმნენ გადარეკილნი.

ორი არმიის შეერთება.

ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ ავსტრო-გერმანელთა არმია გენერალ კევესის მეთაურობით უკვე გენერალ გალვიცის არმიას შეუერთდა რათა ორთავემ ერთად შეუტიონ მთელს ფრონტზე.

ხალილ ბეის აზრი.

ოსმალთა პარლამენტის პრეზიდენტს ხალილ ბეის შემდეგი აზრი გამოუთქვამს ომის ვითარების შესახებ: ომი ჩვენს საკეთილოდ მიდის. მართალია, ინგლის-საფრანგეთმა სალონიკში გადმოსხა ჯარები და მიზნად აქვს საბერძნეთი აიძულოს ომის ასპარეზზე გამოსასვლელად, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვარ საბერძნეთი ბულგარეთის წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს. მიუხედავად ამისა, საკმარისია ბულგართა ერთი დივიზია საბერძნეთის საზღვარზე, რომ შეაკავოს მტრის შეტევა... ნუ იფიქრებთ, ვითომც ავსტრო-გერმანელთ ამჟამად აზრადა ჰქონდეთ ეგვიპტისაკენ გალაშქრება. ეს მას არც ესაჭიროება ასე რიგად. მაგრამ მე მწამს, რომ გერმანია გაზაფხულამდე მოსრესს სერბეთს, იტალეთს და საფრანგეთს და ოთხთა კავშირს მალე უკარნახებს ზავის პირობებსაო.

ბულგარეთის კადნიერება.

გერმანიის რქით გაგულისებული ბულგარეთი კადნიერებაზე თავსა სდებს: „ბულგარეთი ომში ჩაერია არა ანგარებისა და ეგოისტური გულისთქმის გამოისად, არამედ სამართლიანობის გასამარჯვებლად,—ამბობს იგი რადოსლავოვის გაზეთში და ბოლოს დასძენს,—საოცარია, რომ რუსეთმა ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ჭკუა ვერ ისწავლაო.

ნიში მოსწყვიტეს სალონიკსა.

ბულგარებმა ველესთან გადასჭრეს რკინის გზა და ამით ნიში მოსწყვიტეს სალონიკს.

ოსმალეთ-სპარსეთი.

გერმანეთი და ოსმალეთ-სპარსეთი ხელშეკრულობას სდებენ ერთ-ურთს დახმარება გაუწიონ ყოველისფერში.

პარიზის განცვიფრება.

პარიზი განცვიფრდა, როდესაც საბერძნეთმა უარი სთქვა კუნძულ კიპროსის მიღებაზე. მაშ რითღა შეიძლება ბალკანელთა ძალის დაკმაყოფილება? საჭიროა დაუმტკიცოთ, რომ იარაღი ეხლა მოკავშირეებს მეტი გვაქვსო. ბერლინში კი არხეინად გაიძახიან: რა ეჩქარება საბერძნეთს, კიპროსს საფრანგეთოდაც მიიღებსო.

ვარნაში გერმანელები შევიდნენ.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ვარნა-ბურგასში 5 ათასი გერმანელი შევიდა.

კანცლერის ქადილი

იმპერიის კანცლერი იქადება: „ინგლისისა, საფრანგეთის და რუსის მთავრობა უკანასკნელ დროს უკიდურეს ზომებს მიჰმართავს და გერმანელთა ქვეშევრდომთა ქონებას ართმევს. მათ ჰსურთ ამ ქონებით ისარგებლონ, როგორც მომავალ ზავის პირობების თავდებით. გერმანიის მთავრობა იუწყება, რომ ასეთ ნიადაგზე გერმანიის უფლების დარღვევის გამო კერძო საკუთრების გარშემო ჩვენშიაც უკიდურეს ზომებს გამოიწვევსო. ჩვენს წმინდა მოვალეობად ვთვლით გავაფრთხილოთ ჩვენი მტრები რომ: ინგლის-ფრანგ-რუსების ქონება, რაც კი ჩვე[illegible] ქვეშ არის, გაინაწილებს გერ[illegible] ქვეშევრდომთა ხვედრსა და ყოველისფერი სახელმწიფო საკუთრებად იქნება გამოცხადებულიო.

უკანასკნელი ფოსტა

ინგლისის საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ეგეოსის ზღვაში დაუღუპნიათ მათი ტრანსპორტი „მაკეტტი“. 99 კაცი დაჰკარგვიათ.

გრეის განცხადება.

გრეის სათემო პალატისთვის განუცხადებია: ჩვენ მოვალედ ვრაცხთ მოკავშირეთათვის ამ კრიტიკულს მომენტში ყოველისფერი ვიღონოთ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ ინგლისის მთავრობამ განაცხადა, თუ კი საბერძნეთი მხარს დაუჭერდა სერბეთის დასაცველად, მაშინ მას დაუთმობდით კიპროსსაო, მაგრამ რაკი-ღა საბერძნეთმა უარი სთქვა, ეს წინადადება თავის თავად ისპობაო.

მეფე კონსტანტინეს სიტყვა.

მეფე კონსტანტინემ საზოგადო მდგომარეობის შესახებ სთქვა: საბერძნეთის მახვილი ქარქაშიდან ამოწვდილია, მაგრამ არავის ემუქრება. იგი ფრთხილი დარაჯი იქნება ბერძენთა ერისა და მისი თავისუფლებისა. ჩემი მოვალეობაა დავიცვა ქვეყანა დაღუპვისაგან“.

1—2 ხარისხოვან მოლაშქრეთა გაწვევა.

უმაღლესი უქაზით 1 და 2 ხარისხოვანი მოლაშქრენი გაიწვიეს ლიფლიანდიის გუბერნიაში.

სპარსელთა თარეში.

სპარსეთში გახშირდა თარეში. უმთავრესად ეცემიან ინგლის-რუსეთის ელჩებს. ასეთი მოთარეშე ბრბო თავს იჩენს ხამანდაში.

ბრძოლა ბელგიელებთან.

დიქსმიუდესთან გამკაცრდა ბრძოლა. გერმანელთა არტილერია ანგრევს სტენსტრუსთან გამაგრებულ ბელგიელთა სიმაგრეებს...

——

დედეაგაჩთან ოსმალებმა ჯარი გადმოსხეს.

——

გერმანელებმა სერბეთში მადნეულობის მდიდარი მაღაროები იგდეს ხელთ, სადაც თავიანთი სპეციალისტები გაგზავნეს მადნეულობის საექსპლოატაციოდ.

——

გერმანეთში ოფიციალ ცნობით ბალტიის ზღვაში მთელის მეზღვაურების შემადგენლობით ჩაძირულა კრეისერი „პრინც ადალბერტი“.

——

ავსტრეთის ჰაეროპლანებს ვენეციაში ყუმბარები ჩაუყრიათ.

——

„რუს. ინვალიდი“ გადმოგვცემს, რომ გერმანელთა ენერგია დვინის ნაპირებზე იღებს გადამწყვეტ ხასიათს, ამ რამდენიმე დღის ბრძოლაზე იქნება დამოკიდებული გერმანელთა მთელი მარცხენა ფლანგის ბედი, კერძოდ კი ბედი ფონ ბულოვის არმიისა და სხვა ბევრი საკითხებისა როგორც ფრონტზე, აგრეთვე მთელ სტრატეგიულ განწყობილებაზე.

შტაბის დეპეშები

პეტროგრადი, 14 ოქტომბერი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის დასავლეთით ბაბიტის ტბის რაიონში მოწინავე რაზმთა შეჯახებაა. გერმანელთა იერიშებს იქსკულის დასავლეთით მათთვის საკეთილო ნაყოფს ვერ იტანს. ნიზელბურგში გერმანელთა იერიშები, აგრეთვე იაკობშტადტის ჩრდილო-დასავლეთით უნაყოფოდ რჩება. დვინსკზე ქალ. ლივენჰოფის მხრით, იაკობშტადტის ზემოდ, ილლუქსტის რაიონამდე შეუწყვეტელი სროლაა. დვინსკის დასავლეთით გერმანელებს მრავალ მხრით მოაქვთ იერიშები, მაგრამ უშედეგოდ. ბრძოლა გრძელდება. საარტილერიო ცეცხლი დროგამოშვებით უმწვერვალეს სიმძაფრეს აღწევს. დვინსკის სამხრეთით პრიპიატამდე სიწყნარეა. მედვეჟკას სამხრეთით, ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით იერიშით წამოსულ მტერს კონტრიერიშით შეუტიეს და თითქმის ყველანი ამოჰხოცეს. სოფ. კამენუხთან, მედვეჟკის სამხრეთით, რუსებმა შეაჩერეს იერიშით წამოსული მტერი. წამოყვანილია ტყვეები. ოლიკის სამხრეთ-დასავლეთით რუსებმა წაიწიეს და სოფ. კონსტანტინოვკა დაიჭირეს. მტრის იერიში სტრიპასა და დნესტრის შესართავთან, შეჩერებულ აქმნა რუსების მიერ; იგი შეუძლებელ იქმნა სოფ. შურომინელესკენ.

რუსი სოციალისტები და ომი

„ჩვენ, ამ მოწოდების ხელის მომწერნი, რუსეთის სოციალისტთა აზროვნების სხვა და სხვა მიმართულებას ვეკუთვნით. ჩვენ ბევრ რამეში არა გვაქვსრა საერთო. მაგრამ ყველანი კი იმ აზრისანი ვართ, რომ რუსეთის დამარცხება გერმანიასთან ბრძოლაში მისი დამარცხების თანასწორი იქნებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ აზრით უნდა ხელმძღვანელობდნენ რუსეთში ჩვენი თანამოაზრენი, რათა ხალხთან ერთად მტკიცედ იყვნენ შეერთებულნი სიკვდილის მფენელ საშიშროების დასათრგუნად. მივმართავთ შეგნებულ მუშებს, ხელოსნებს, ნოქრებს, ერთი სიტყვით, ყველა იმათ, ვინც ოფლითა თვისითა პურსა სჭამს, ვინც იტანჯება პოლიტიკური უთანასწორობით თუ ნივთიერი ხელმოკლეობისაგან და იბრძვის უკეთეს მომავლისათვის, შვილთა და ძმათა თვისთა საბედნიეროდ,—მხურვალე მისალმებისთანავე დაბეჯითებით გთხოვთ: გვისმინეთ ამ საბედისწერო ჟამს, როდესაც მტერმა უკვე დაიპყრო რუსეთის დასავლეთი ციხე-სიმაგრე, როდესაც მისგან დაჭერილია რუსეთის მნიშვნელოვანი ტერრიტორია და შიში მოელის როგორც კიევის დაკარგვისა, ისე პეტროგრადისა და მოსკოვისა, ერთი სიტყვით, როდესაც მტერი ემუქრება რუსეთის საგულისხმიერო ცენტრისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შებოჭვას.

ძველადაც ხშირად სწვევია ჩვენს სამშობლოს ასეთი შავბედითი დღე მტერთა შემოსევით, მაგრამ მას არასოდეს არ მოჰხდომია თავდაცვა ასეთ მარჯვე მტრის წინაშე, რომელიც საოცრად შეიარაღებულია და წინასწარვე მოფიქრებული გეგმით მზრუნველობით ფრთას აშლევინებს თვის ველურს თარეშობას.

რუსეთის არსებობის შიში უკანასკნელ წერტილამდინ აღწევს. აი, სწორედ ამიტომ ყველა თქვენზე, რუსეთის შეგნებულ შვილებზე, მშრომელ ხალხზეა დამოკიდებული მთელი სიმძიმე პასუხისმგებლობისა, თუ თქვენ იტყვით, რომ თქვენთვის და თქვენზე ნაკლებად შეგნებულ მუშებისათვის სულ ერთია ვინც გაიმარჯვებს ამ უდიდეს საერთაშორისო ომში, თუ ამ დასკვნის თანახმად მოიქცევით, მაშინ რუსეთს გაჰსრესენ, სულ მიწასთან გაასწორებენ. და როდესაც რუსეთი მოსპობილ იქმნება გერმანიის მიერ, მაშინ ცუდი დღე დაადგებათ თვით ჩვენს მოკავშირეებსაც. თქმა არ უნდა, ამას ზედმეტი დამტკიცება აღარ სჭირია.

პირიქით, თუ თქვენც იმ აზრს ადგეხართ მტკიცედ, რომ რუსეთის დამარცხება ცუდს გავლენას იქონიებს მშრომელ კლასზე, თუ მთელის ძალღონით იბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, მაშინ რუსეთი და მისი მოკავშირენი გაიმარჯვებენ და თავიდან ავიცდენთ კარს მომდგარს საშიშროებას. კარგად ჩაუკვირდით აწმყო მდგომარეობის მიერ შექმნილს ვითარებას და მიხვდებით რაშიაც არის საქმე.

მეტად შემცდარნი იქნებით, თუ იფიქრებთ, ვითომც მუშა ხალხს არ ესაჭიროებოდეს სამშობლო ქვეყნის თავდაცვა. ნამდვილად კი ამ ომში არავის ინტერესები ისე არ იქელება, როგორც მშრომელი ხალხისა. ავიღოთ, მაგალითად, საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870—1871 წწ. როდესაც გერმანელებმა პარიზს ალყა შემოარტყეს, ქალაქში საშინელი სიძვირე ჩამოვარდა, სანოვაგის შოვნა არ იყო, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად იმ დროს მშრომელი ხალხი გაისრისებოდა, ვიდრე მდიდრები. აგრეთვე მოხდა შემდეგაც, როდესაც გამარჯვებულმა გერმანიამ დამარცხებულ საფრანგეთს ხუთი მილიარდი სამხედრო კონტრიბუცია დაადო, საბოლოო ანგარიშში ეს ვალი სულ ღარიბმა ხალხმა გადიხადა. მის გადასახდელად შესამჩნევად გაადიდეს არაპირდაპირი გარდასახადები, რომლის სიმძიმე როგორც ვიცით, თითქმის ხელაღებით ღარიბებს აწყდებათ თავზე.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საფრანგეთისთვის ამ ომის შედეგი უმძიმეს უბედურობად იმიტომ აღინიშნა, რომ მეტად მძიმე ნაბიჯით დაიწყო ზრდა ეკონომიურმა განვითარებამ. სხვანაირად რომ ვსთქვათ, საფრანგეთის დამარცხებამ მეტად ცუდი გავლენა იქონია იმ დროს მცხოვრებლებზე საზოგადოდ, მაგრამ ყველაზე მეტად კი მის შემდეგს განვითარებაზე.

რუსეთის დანგრევა გერმანიის მიერ გაცლებით მეტს უბედურებას შესძლევნის ჩვენს ხალხს, ვიდრე საფრანგეთის დამარცხებამ წილად არგუნა ფრანგებს. ყველა ომი, საზოგადოდ, ეხლა დიდს ხარჯებს მოითხოვს. რუსეთს, როგორც ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანას აუტანელ სიმძიმედ დააწვება ყველა ეს გასავალი, ვიდრე დასავლეთ ევროპის ველზე წინ წასულს განვითარებულსა და მდიდარ სახელმწიფოებს. რუსეთის ხალხის ზურგზე ჯერ წინადაც მძიმე ვალი აწვათ ტვირთად. ეხლა ეს ვალი არა თუ დღითი დღე არამედ წუთობითაც კი იზრდება. ამას უნდა დაერთოს რუსეთის ფართო ქვეყნების სრული განადგურება. თუ საბოლოოდ გაიმარჯვებს გერმანია, მაშინ რუსეთისგან მოითხოვს აუწერელს კონტრიბუციას, რომელთან შედარება არც კი შეიძლება ის ოქროს დაუშრეტელი ჩანჩქერი, რომელიც საფრანგეთიდან მისრიალებდა 1871 წლიდან გამარჯვებულ გერმანიაში.

მაგრამ ამითაც არ გათავდება საქმე. გერმანთა ყველაზე უფრო ზომიერი და გულახდილი მებუკენი პოლიტიკის სფეროში უკვე აღარ ეკრძალებიან საქვეყნოდ განაცხადონ, რომ რუსეთისგან მოითხოვონ ტერრიტორიის მეტი წილის დათმობას, რაიც შემდეგ სრულიად უნდა დაცლილ იქმნეს დღევანდელ მცხოვრებთაგან რათა უფრო მარჯვედ მოეწყოს აქ მათი ახალშენების მოწესრიგება. არასოდეს ჯერ კიდევ ველურ მოთარეშეებს აზრადაც არ მოსვლიათ დამარცხებულ და გაძარცულ ხალხის წინაშე გამოეჩინოთ ასეთი ცინიკური გულქვაობა!

მაგრამ ჩვენზე გამაჯვებულ მტრისთვის საკმარისი არ იქნება აუწერელი სამხედრო კონტრიბუციის მოთხოვნა და მისი მკაცრი გავლენა ჩვენს განაპირა ქვეყნებისთვის. ჯერ კიდევ 1904 წელს რუსეთი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და იძულებული გახდა მეტად მძიმე პირობებით შეჰკვროდა გერმანიას ვაჭრობის სფეროში. ამ ხელშეკრულობის გამოისად ერთსა და იმავე დროს ფერხდებოდა როგორც რუსეთის სასოფლო მეურნეობა, ისე მრეწველობითი წარმატება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგი ერთსა და იმავე დროს მეტად ცუდს გავლენას ახდენდა როგორც მშრომელ გლეხთა ინტერესებზე, ისე მომრეწავ მუშებზე. ახლა ადვილად წარმოსადგენია თუ რა ხელშეკრულებას მოგვახვევს თავზე გამარჯვებული გერმანიის იმპერიალიზმი. ეკონომიურის მხრით რუსეთი გერმანიის კოლონია გახდება. მისი შემდეგი ეკონომიური განვითარება მეტის მეტად შეფერხდება, თუ სრულიადაც არ შესდგა. გაჭირვებული გლეხკაცობა იძულებული გახდება აიბარგოს და ცენტრებს მიჰმართოს, ერთი სიტყვით, გარდიქმნენ უმწეო და საბრალო მაწანწალებად. გადაგვარება და გარყვნა მშრომელი ხალხისა, აი ის უდიდესი საფრთხე, რასაც უქადის გამარჯვებული გერმანია დამარცხებულ რუსეთს!..

ახლა ვიკითხოთ, რა ხეირი იქნება, თუ გერმანიამ გაიმარჯვა დასავლეთ ევროპაში? ნათქვამის შემდეგ მეტია იმისი მტკიცება, თუ ეკონომიურ განვითარებას რა უბედურებად დაატყდება თავზე ეს ამბავი. ჩვენ გვსურს მხოლოდ შემდეგზე მივაქციოთ თქვენი ყურადღება: ინგლისმა, საფრანგეთმა და თვით ბელგეთმა, იტალეთმაც კი პოლიტიკურად დიდად გაუსწრო გერმანიის იმპერიას, რომელიც პარლამენტარულ რეჟიმამდეც კი ვერ აღზრდილა. გერმანიის გამარჯვება ამ ქვეყნებზე იქნებოდა... ძველის ახალზე გამარჯვება. და თუ თქვენთვის ოდნავ მაინც ძვირფასია დემოკრატიული იდეალი, მაშინ უნდა სცდილობდეთ, რომ გამარჯვებული იყვნენ ჩვენი დასავლეთელი მოკავშირენი. თქვენი გულგრილობა ომის საკეთილოდ დამთავრებისადმი მოასწავებს თქვენს პოლიტიკურს თავის მკვლელობას. ყველაზე საგულისხმიერო, ყველაზე ცხოველ მყოფელი ინტერესები პროლეტარიატისა და გლეხობისა მოითხოვენ თქვენგან მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ ქვეყნის თავდაცვაში. ამიერიდან თქვენი ლოზუნგი უნდა იყოს მტერზე გამარჯვება. ასეთ მისწრაფებითი მოქმედებით ნელ-ნელ განმტკიცდება და განთავისუფლდება ხალხის ცოცხალი ძალა...

ამ ლოზუნგის მორჩილნი თქვენ უნდა იყვნეთ ბრძენნი, როგორც ძველნი. მართალია, თქვენს გულში აღგზნებულია კეთილშობილურ გულისწყრომის ცეცხლი, მაგრამ თავში მუდამ უნდა სუფევდეს ცივი პოლიტიკური ანგარიში. აუცილებლივ უნდა გახსოვდესთ, რომ ხშირად არა გონივრული გულითადობა უფრო მავნებელია ვიდრე სრული გულგრილობა. ყოველი „აპილპილება“ არმიის ზურგში, რომელიც ასე თავგანწირულად ებრძვის მტერს, ღალატის თანასწორი იქნება თავის მნიშვნელობით, ვინაიდან ამით უდიდეს სამსახურს გაუწევთ მხოლოდ მტერს...

ომის [illegible], რა თქმა უნდა, უანგაროდ არ ჩაივლის რუსეთის მომრეწავეთათვის, როგორც ეს იყო მშვიდობიანობის დროს! მრავალი სახაზინო საქმის აღება, რაიც ასე რიგად საჭირო იქნება „მრეწველობის მობილიზაციის“ მოსახდენად, ბ.ბ. მრეწველნი ჩვეულებისამებრ მოჰყვებიან კაპიტალის ინტერესების გამო მშრომელი ხალხის მოწურვას, მაგრამ ყოველს შემთხვევაში, როდესაც კი მოისურვებთ გაფიცვით უპასუხოთ მათ, გახსოვდეთ რუსეთი, გახსოვდეთ და უწინარეს ყოვლისა იკითხეთ, ასეთი თქვენი საქციელი ხომ არ ავნებს რუსეთის თავდაცვის საქმეს!

კერძო უნდა დაემორჩილოს საზოგადოს. ყველა ქარხნის მუშას უნდა ახსოვდეს, რომ უდიდესი შეცდომა მოუვა, თუ მხოლოდ კერძო ინტერესის გამო დაივიწყებდა რა უბედურობა ელის მთელს რუსეთის პროლეტარიატს და მშრომელს გლეხობას გერმანიის გამარჯვებით ის ტაქტიკა, რომელიც შეგვიძლიან დავახასიათოთ ფორმულით „ყო-

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ბალტიის ზღვაში ინგლისელთა წყალქვეშამ დაჭლუპა გერმანელთა 4 ხომალდი.

ცოტა რამ ეროვნული მოძრაობიდან
და
ჩვენი საზოგადოებანი

(საქველმოქმედო საზოგადოების კრების გამო)

მსოფლიო ომმა შეანძრია მთელი ქვეყნიერობა და შეარყია საუკუნეებით შემუშავებული მსოფლმხედველობა. ყველა არსებულ საზოგადოებრივ კავშირ შორის მან ერთად-ერთი კავშირი იწამა და სცნო მისი სიმართლე და ჭეშმარიტი სინამდვილე. ჩვენ ვლაპარაკობთ კავშირერის შესახებ. დღეს ერი აღიმართა ერის წინააღმდეგ და ყველაფერი, რაც მის გარშემო ან რაც თვით ერის საზღვარში სხვა და სხვა კავშირია,—ყველაფერი ეს უყურადღებოდ დარჩა, როგორც დღევანდელ დღეში მიმდინარე ამბებისთვის უძალო და ღონე-მიხდილი არა-არსებითი რამ. გამართლდა ძველი თქმულება: „non homo hominis enpus est, set natio nusioni“-ო.

ასეთ დროს, როდესაც ეროვნულ არსებობის საკითხს მრავლისათვის სიკვდილ-სიცოცხლის ხასიათი მიეცა, ადამიანის გონება ცდილობს ჩასწვდეს ხალხთა ცხოვრების საიდუმლოს და გაიცნოს თუ რაშია ძალა და სისუსტე და რომელი ფაქტორია მისი გამაღონიერებელი და რომელი მისი დამასუსტებელი.

თუ კაცობრიობის უახლოვესი ისტორიის აზრი და შინაარსი ყოფილა ერების დარაზმვა ერთმანერთის საწინააღმდეგოდ, ადამიანის გონებამ ისევ-ისევ ამ ისტორიას უნდა მიმართოს, რათა მუნ მოძებნოს ის გზა და კანონი, რომელმა გზა და კანონმა თითეული მათგანი აღჭურვა და მოამზადა თავის თავის დასაცავად. აშკარაა, რომ ისტორიის უახლოვესი პერიოდის დამახასიათებელი თვისება, როგორიცაა მაგ. დემოკრატიზმი, სწრაფი წარმატება ტეხნიკურ შემოქმედებათა, ადამიანის გონების შეუჩერებელი ზრდა და გამარჯვება ბუნების მოვლენებზე, ქმნილა და ფურჩქვნილა ეროვნულ ფარგალში და არა მის გადაღმა. ისტორია ბევრ მაგალითს იძლევა, რომ ყველაზედ ინტენსიური მომენტი ნივთიერ-სულიერ განვითარებისა ერის ცხოვრებაში გადაკავშირებული ყოფილა ანუ უკეთ შედეგი მწყობრი ორგანიზაციული მუშაობისა კაცთა მოქმედებისა სხვა და სხვა დარგში. ასეთი მუშაობა და ორგანიზაციებად მოწყობა წინამორბედი და მოსამზადებელი საფეხური ყოფილა დაცემულის აღსადგენად; უფლება-ახდილისთვის უფლება მიუნიჭებია შეკავშირებასა და შეერთებულ ძალას და იმ ერს შერჩენია ბრძოლის ველზე გამარჯვება, რომელსაც მეტი ენერგია და გარჯა გაუწევია ადრევე სხვა და სხვა კავშირებისა და ორგანიზაციების შეკვრაში. დაქსაქსული და ორგანიზაციულად მოუწყობელი ეროვნული ერთეული შეტაკებიდან მუდამ დამარცხებული გამოსულა. დაცემული და უფლება-ახდილი ერისთვის ერთად-ერთი თავშესაფარი, ერთად-ერთი სამოქმედო ასპარეზი ყოფილა სხვა და სხვა კულტურული დაწესებულება, სხვა და სხვა საეკონომიო ორგანიზაცია, სხვა და სხვა ჯურის საქველმოქმედო საზოგადოებანი. ასეთ ორგანიზაციებში გამოჩეკილა, გაზრდილა და დავაჟკაცებულა ერის აღმადგენელი ძალა.

რაც უფრო ღრმად ჩაუკვირდებით განვლილ საუკუნის ცხოვრებას, მით უფრო დავრწმუნდებით, რომ სწორედ ამგვარი საფეხურები გამოუვლია თავის ეროვნულ აღორძინების მატიანეში იმ ერს, რომელიც ღირსებია ახდილ უფლების კვლავ დაბრუნებას. საფრანგეთისაგან არარად ქცეული, ნაპოლეონის მიერ უფლება-ახდილი პრუსია და მასთან მთელი გერმანეთი, პირველი გაჰყვა ამ გზას.

ტყუილად კი არა სთქვა მეფემ ბერლინის უნივერსიტეტის დაარსების დროს: რაც ქვეყანამ ფრანგების გამო ფიზიკურად დაჰკარგა, იმას ერთი ათად კულტურის გზით აუნაზღაურებს და მართლაც, გერმანეთის შეერთების დიდს პოლიტიკურ ეროვნულ აქტს წინ უძღვოდა აღმოცენება კულტურული დაწესებულებათა, განმტკიცება და გავრცელება ეკონომიური კავშირისა და მოწყობა ეროვნული ქველმოქმედებისა. ამგვარმა ორგანიზაციებმა აღზარდეს ეროვნული მთლიანობის იდეა და მათვე წარმოშვეს დიადი გერმანეთი შეკავშირებული გერმანიის პოლიტიკური აქტი. მომავალმა იმპერიის მოქალაქემ თავისი ეროვნული აღზრდა და მოქალაქობრივი შეგნება სწორედ ამ კულტურულ და საქველმოქმედო დაწესებულებებში მიიღო.

ჩეხებმაც ამავე გზით მიაღწიეს უკეთეს ყოფას. კულტურული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებანი, რელიგიოზური ელფერის მატარებელი „ძმათა კავშირები“ და ეროვნულ საქველმოქმედო საზოგადოება—აი ის სკოლა, სადაც ჩეხებმა ისწავლეს თავისი ეროვნული უფლების დაცვა.

ასეთივე ეკლიანი გზა განვლეს გალიციელებმა და ავსტრიის სხვა პატარა ქვეშევრდომმა ერებმა ეროვნულ სკოლისა, ეროვნულ დაწესებულების, ეროვნულ ეკლესიის მოსაპოებლად. ყველგან, ყოველ წევრის ცხოვრებაში განმეორდა ერთი და იგივე ისტორიული გზა და კანონი.

ყოველგან ერთი გზით მიუხწევიათ სანუკვარი იდეალის განხორციელებისთვის. გამოცდილებას და დაკვირვებას საიმედოდ მხოლოდ ეს გზა უცვნია.

ჯერ ერის მოწინავე ნაწილი გამოსულა ასპარეზზე და დაუარსებია კულტურული საზოგადოებები,წერა-კითხვის გავრცელებისა, სამშობლოს სიძველეთა შესწავლის თუ სხვა რამ საზოგადოებების სახით; შემდეგ შეკავშირებულან ერის ფართე წრეები ეკონომიურ წარმოებისა თუ მოხმარების საერთო ნიადაგზე; ასეთი ორგანიზაციები თანდათან გაზრდილა, მათ ნელ-ნელა შეუმჭიდრებია და შეუკრავს მთელი ერი და საძირკველი ჩაუყრია მის აღორძინებისათვის. ამ გზით მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრებაც. ჯერ იყო და, მარტოდ-მარტო კულტურული დაწესებულებები დაარსდა. ზრდა ეროვნული მოძრაობისა ამ კულტურულ დაწესებულებათა დანაწილებაში და გამრავლებაში გამოიხატა. რაც წინ მიდის ცხოვრება, ყოველ მის დარგს მომვლელი და პატრონი უჩნდება.

ამ პირველ საფეხურს ჩვენში მეტად სერიოზული, რწმენის მომცემის ხასიათი აქვს. დღეს უკვე მეორე და მესამე საფეხურის ნიშნებიც მოსჩანს.

ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციები მტკიცე ნიადაგზე დგება და მათი შეკავშირება დღეს უკვე მორიგ საკითხად არის გადაქცეული. თუ ქართველების ერთმა ნაწილმა თავი მოიყარა სხვა და სხვა საკულტურო დაწესებულებაში, ერის კულტურის დაცვა-წარმატებისთვის.

თუ ქართველების მეორე ნაწილმა თავი მოიყარა ეკონომიურ ორგანიზაციებში მწარმოებლის თუ მომხმარებლის ინტერესის დასაცავად,—აუცილებელია ისეთი საზოგადოების და ორგანიზაციის შექმნა, სადაც მოხდება ერის ნაწილების შეერთება სოციალურ მდგომარეობისა და კულტურულ გემოვნების განურჩევლად, სადაც ვარჯიშობდეს და იწრთობოდეს უფრო ზოგადი გრძნობა. მთელი ქვეყნის დახმარებისა და შველის ასეთ დაწესებულებად ყველგან ყოფილა საქველმოქმედო დაწესებულება. ჩვენშიც ფეხი აიდგა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომლისადმი ხალისი და პატივისცემა დღითი დღე იზრდება ჩვენს ხალხში.

ყველა მონდომებულია ხელი მოუმართოს ხსენებულ საქველმოქმედო საზოგადოებას იმ სიმპატიურ მიზნების განხორციელებაში, რომელიც ყოველ ქართველს, და მაშასადამე მთელს ქართველობას ჰრგებს. არაფერი უშლის ხელს, რომ ეს საზოგადოება ერთ დიდ ორგანიზაციად გაიზარდოს, მოედოს მთელს საქართველოს და იმოქმედოს წესდებით მინიჭებულ ფართე უფლების მიხედვით. ჯერ-ჯერობით საზოგადოებამ რამდენიმე ადგილას გახსნა თავისი განყოფილება. დამშეულმა, სტიქიურ უბედურებით თავზარ დაცემულმა სხვა და სხვა კუთხემ პირველად მას მიაშურა. ეროვნული ზარის, აჭარის აკლების დროს, ამ საზოგადოებამ ითავა ძმური სიტყვისა და საქმის მიტანა აოხრებულ აჭარაში; ჩვენსა და ჩვენ ძმებ ქართველ მაჰმადიანებ შორის ეროვნულ ერთობისა და მთლიანობის შენობაში პირველი ქვა ამ საზოგადოებამ ჩაატანა. ამგვარი საყვარელი და საკმაოდ ნაყოფიერ მოქმედებისათვის საზოგადოება დიდის ნდობით უყურებს ამ პატივცემულ პირთა, ვინც სათავეში უდგას საქველმოქმედო საზოგადოებას. უეჭველია საქმეს ასეთს ელფერს აძლევს თვით ჩვენი ეროვნული მოძრაობის მიმართულება. ასეთ საზოგადოებას ყოველი ერის მოძრაობაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონია, და ეს კი ჩვენც იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი ცხოვრებაც იმავე გზით ივლის ეროვნულ აღორძინებისაკენ.

18 ამ თვეს კრებაა საზოგადოებისა. ყველა ჩვენგანი მოვალეა მივიდეს, მიიტანოს სიტყვა ხალისისა, ნდობისა და დახმარებისა.

ზ. ივერი.

ველისფერი ან არაფერი“, გახლავსთ ანარქისტული ტაქტიკა, რაიც არ ეკადრება პროლეტარიატისა და გლეხობის შეგნებულ წარმომადგენელთ.

გერმანიის საგენერალო შტაბი სულით და გულით შეეგებება იმ ამბავს, თუ ჩვენი ხალხი შეითვისებს ამ ლოზუნგს. გწამდეთ, იგი მზადაა ხელი შეუწყოს ყველას, ვინც კი ასე იქადაგებს ჩვენში. მას ესაჭიროება არეულობა რუსეთში, გაფიცვები ინგლისში, მას ესაჭიროება ყოველივე ის, რაც კი განახორციელებს მის გულისთქმას, მის დაპყრობითი გეგმას. მაგრამ გვწამს თქვენ არ გაახარებთ მას. არ დაივიწყებთ პაპა კრილოვის სიტყვას: „რასაც მტერი გირჩევს, უეჭველია, ის სახეირო არ იქნებაო“!

თქვენ ის უნდა მოითხოვოთ, რომ ყველა თქვენმა წარმომადგენელმა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს იმ დაწესებულებათა შორის, რაც ხალხის აზრით შეუქმნიათ გარეშე მტრის დასამარცხებლად. თქვენმა წარმომადგენლებმა შეძლების დაგვარად უნდა მონაწილეობა მიიღონ განსაკუთრებით ტეხნიკურ სფეროში, სამხედრო სამრეწველო დაწესებულებათა შორის, რომელნიც ემსახურებიან არმიას, მის საჭიროებას, აგრეთვე საზოგადო და პოლიტიკურ ხასიათის ორგანიზაციებს.

საქმე ისეა დაყენებული, რომ თავისუფლებას სხვაფრივ ვერ მივაღწევთ, თუ ეროვნულ თავდაცვის გზას არ დავადგებით...

. . . .

ხელს აწერენ: გ. პლეხანოვი, ლ. დეიჩი, მ. ალექსინსკი. ა. ბახი, პ. ბუნაკოვი, ნ. ავქსენტიევი და სხვანი.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია

აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ღვინობისთვიდან გაზეთი „საქართველო“ გამოვა გადიდებულ ფორმატით და უკეთეს ქაღალდზე.

მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები.

გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარედ: **პარიზში** (საფრანგეთი), **ლონდონში** (ინგლისი), **პეტროგრადში, მოსკოვში და კიევში.**

ადგილობრივად: **ბათომში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში.**

განსაკუთრებული კორესპონდენტები **აჭარა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.**

წყევლა
(მიბაძვა აკაკისა)

გულში ლახვარი ჩაესოს,
შუბლი გაეპოს ხმალითა,
ვინც თავის ტურფა სამშობლოს
შეხედოს მტრულის თვალითა!

—

წყეულიმც იყოს მარადის
თვის ტომის უარმყოფელი,
გამზრდელ სამშობლოს სახელის
მოღალატე და მგმობელი!

ძიკო მარგალი.

ახალი ამბავი

◆ **კახეთის რკინისგზის გარშემო.** თავად-აზნაურთა მარშალმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა დიდ-ჯიხაიშში ნ. ი. ნიკოლაძეს: ,,თავად-აზნაურთა მარშლებმა და დეპუტატებმა ერთხმად დაგასახელეს თქვენ კახეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარედ. არჩევანი მოხდება აქციონერთა კრებაზე. მაგრამ თავად-აზნაურთა რწმუნებულნი კრებაზედ ვალდებული არიან შესრულდან მარშალთა და დეპუტატთა გარდაწყვეტილება. გამგეობის წევრებად დასახელებულ არიან ინჟენერი ყაზბეგი, გოგიჩაიშვილი და მე. ერთი წევრი უნდა აირჩიოს აქციონერთა უმცირესობამ. თავად-აზნაურთა მარშლებისა და დეპუტატების სახელით და პირადათ მე გილოცავ და გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის ხელმძღვანელობით კახეთის რკინისგზა გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც მაზედ ვამყარებთ‘‘. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი პასუხი მიიღო ბ-ნ ნიკოლაძისაგან: ,,კეთილ ინებეთ მიიღოთ და გადასცეთ თავად-აზნაურთა მარშლებს და დეპუტატებს ჩემი უღრმესი მადლობა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მთელს ჩემს ძალღონეს მოვანდომებ იმედების გამართლებას‘‘.

◆ **თბილისში სტუმრად არიან:** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი ჯაფაროვი, სათათბიროს პირველ შემადგენლობის დეპუტატად ნამყოფი ბ-ნი თოფჩიბაშევი, ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი ასადულაევი და განჯის მუსულმანთა საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი რაფიბეკოვი.

◆ **ვაგონების საჭიროება.** გორის მაზრის კოოპერატივთა ბიურო სთხოვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას დაეხმაროს მას 40 ვაგონის შოვნაში ეკატერინოდარიდან ხორბლისა და ფქვილის გადმოსაზიდად, რომლის შეძენასაც იქ აპირობს ბიურო.

◆ **საანკეტო ფურცლები.** ქართლის კოოპერატივთა ბიუროს განუზრახავს, საანკეტო ფურცლების საშუალებით ცნობები შეკრიბოს იმის შესახებ, თუ რამდენი ოჯახია, რომელნიც კოოპერატივებში არ ირიცხებიან წევრებად და საშუალებას მოკლებული არიან თავიანთი ძალღონით შეიძინონ საკვები. ამავე საგნის გამოსარკვევად ბიურო აპირებს კრებების გამართვას.

◆ **ახალი წინადადება.** ვ. ნ. ზირაქაშვილი ატყობინებს კავკავიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ, თუ გამირიგდებით, მე შემიძლიან მოგაწოდოთ სოფლებისათვის კარგი ღირსების სიმინდი იაფ ფასში.

◆ **ახალი ლაზარეთი.** როგორც ვიცით, საქალაქო ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოდან გადატანილ იქმნა სამხედრო ლაზარეთი, რადგან ეს საავადმყოფო ვენერიულთათვის არის საჭირო. ქალაქთა კავშირი ახალ სამხედრო ლაზარეთს აარსებს, რომლის უფროს ექიმად მოწვეულია ვახტანგ ღამბაშიძე.

◆ **ინტერნაციონალი დილა.** სახალხო უნივერსიტეტთა გამგეობამ დაადგინა გამართოს 1 ნოემბერს სახალხო სახლში ინტერნაციონალი დილა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად. დილის მოწყობა გამგეობამ დაავალა საგანგებო კომისიას.

◆ **ხოლერა.** 14 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 1 კაცი. გამოეწერა ლაზარეთიდან 3 კაცი გუშინ, 15 ოქტომბერს ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 77 და ხოლერის ნიშნებით 3 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ 14 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 89, ხუნაგიანი 20, ყვავილიანი 2, სახადიანი 57 კაცი.

◆ **გადმოხვეწილთათვის.** ი. ა. მანთაშევმა ამას წინად 25,000 მანეთი გამოუგზავნა ა. ი. ხატისოვს. ეს უკანასკნელი ამ ფულით საბნებს და ლეიბებს ამზადებინებს გადმოხვეწილთათვის. ბ-მა ხატისოვმა, სხვათა შორის, ამ ფულიდან 3,000 მანეთის თბილი საბნები შეუკვეთა კავკასიის ქალთა ქართულ სექციას.

◆ **ვაზის წამალი.** როგორც სჩანს, მომავალ წელში წლევანდელზე უფრო გასჭირდება ვაზის წამლის შოვნა. ქართველ თავად-აზნაურთა მარშლის თხოვნის შემდეგ, მიწადმოქმედების დეპარტამენტმა გადასწყვიტა, მომავალი წლისათვის შეეძინა საკმაოდ შაბიამანი და გოგირდი და დეპეშით შეეკითხა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს,—რამდენი გოგირდი და შაბიამანი იქნება საჭირო თქვენი რაიონისათვისო. კომიტეტმა მაშინვე დეპეშით უპასუხა, რომ შაბიამანი საჭირო დარჩება 50 ათასი ფუთი, ხოლო გოგირდი 100,000 ფუთიო. ეხლა დეპარტამენტმა შემოუთვალა ხსენებულ კომიტეტს, რომ საქონლის ღირებულობის 10 პროც. ეხლავე გამოგზავნეთ და საქონელს დაგიკვეთთო. კომიტეტს ფული არ აქვს და ვერც ვერას გაუგზავნის და, მაშასადამე, ამ მხრივ წამლის შოვნის იმედი აღარ არის.

◆ **შუამდგომლობა.** ველისციხის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომელშიაც წევრებად შედიან ველისციხე, ახაშენი, ჩუმლაყი და ზეგანი 1,400 კომლითურთ, შუამდგომლობს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის წინაშე, აულოს მას სამხედრო უწყებისაგან ნებართვა, რომლის საშუალებითაც ამხანაგობას შეეძლება შეიძინოს რომელიმე ქარხნიდან 6,500 ფუთი რკინის მავთული ვაზების ასაკრავად. ეს შუამდგომლობა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ხსენებულ სოფლებს ტყე არა აქვს და ჭიგო მშვიდობიან დროსაც ერთობ ძვირად ფასობდა, ხოლო ამ ჟამად კიდევ უფრო დაძვირდა, ამიტომ ჭიგოს მაგიერ მავთულების შეძენა მოინდომეს სოფლელებმა, მაგრამ მავთულებს ქარხნები არ უკეთებენ სამხედრო უწყების მოწმობის წარუდგენლად.

◆ **შაბიამანის დამზადება რუსეთში.** როგორც მიწადმოქმედების დეპარტამენტი ატყობინებს თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, ერთ ფირმას განზრახვა აქვს შაბიამანის კეთება მოაწყოს რუსეთში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ 5 წლის განმავლობაში არა ნაკლებ 200,000 ფუთი შაბიამანისა გასაღდება მუდამ წელს. ამიტომ დეპარტამენტი ეკითხება კომიტეტს: 1) რამდენი შაბიამანი იქნება თქვენს რაიონში საჭირო ყოველ წელს, 2) სად იძენდით ამ საქონელს დღემდე, 3) ეკისრება თუ არა კომიტეტი თითონ მაწოდოს მევენახეებს შაბიამანი და 4) ფულის გადახდა რა წესით შეიძლება.

კომიტეტმა შემდეგი პასუხი მისცა დეპარტამენტს: 1) წლიურად საჭიროა 50 ათასი ფუთი შაბიამანი; 2) დღემდე ამ საქონელს ფირიდონოვისგან იძენდა ხალხი, ხოლო ფირიდონოვს საზღვარ-გარეთიდან მოჰქონდა იგი; 3) საქონლის შეძენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღირსების იქნება იგი და როგორ ღირებად; 4) კომიტეტს შეუძლიან მიაწოდოს ხალხს შაბიამანი კოოპერატივითა საშუალებით, რომელთაც მოქმედება უკანასკნელ დროს დაიწყეს, ხოლო საქმის ორგანიზაციას თითონ დეპარტამენტი რომ იკისრებდეს, ემჯობინება.

◆ **გასაჭირი სოფლად.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მიღებულ ცნობებით, რაჭა-ლეჩხუმში ხალხი დიდს განსაცდელს განიცდის სიმინდის უქონლობის მხრივ და მშველელი კი არავინ არის, რადგან იქ არავითარი კოოპერატივი არ არსებობს, რომელსაც შეეძლოს ხალხის საჭიროების რამდენიმე დაკმაყოფილება. ხალხის რამდენიმე წარმომადგენელი სთხოვს საზოგადოების გამგეობას იშუამდგომლოს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს კრებების გამართვისა, რათა ამ წესით ხალხმა თითონვე გამოარკვიოს ღონისძიებანი გაჭირვების წინააღმდეგ.

◆ **საზოგადო კრება.** სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება დანიშნულია 2[illegible] ოქტომბრისათვის.

პროვინციის ქრონიკა

გორი.

11 ღვინობისთვეს მანდილოსანთა კრებაზე გადაწყდა გაიხსნას გორში ორკლასიანი უფასო საქალებო სკოლა.

— ქართლის სოფლებს დიდ გაჭირ-

ვებას მუდამ დღე იტყობინებიან. პირველ რიგის საკითხად ყველგან შიმშილია გადაქცეული...

— მიუხედავად იმისა, რომ გორში სანოვაგე ცოტ-ცოტა შემოაქვთ, აქაური ჩარჩები მაინც არა სცხრებიან. ცნობილი ჩარჩი ისრო ათენელოვი სარდაფებში მარხავს სანოვაგეს, სოფლის ხალხს გზაზე ხვდება და იქვე „ანთავისუფლებს", როგორც ამას თვითონ იძახის. სანოვაგეს ფასი თითქმის საათობით ემატება.

ნიგოითი (გურია).

ამ სოფელში შიმშილობა უკვე დაიწყო. ხასოწარკვეთილებას მიცემული მცხოვრებნი მთავრობის წინაშე ითხოვენ დახმარებას.

ონოღია (სამეგრელო).

ადიდებულმა ცხენის წყალმა მთლად წალეკა ონოღიის ცხენის წყლის სანაპირო ყანები. შიმშილობა აუცილებელია. ადგილობრივი სასწავლებელი მეტად უხერხულ მდგომარეობაშია ბინის უქონლობისა გამო. ონოღიის ინტელიგენცია კულტურულ დაწესებულებისათვის ხმას არ იღებს.

კახეთი.

რთველები და ღვინის დაყენება კახეთში უკვე დასრულდა. შედარებით წინა წლებთან, ღვინის მოსავალი წელს ხუთჯერ ნაკლებია. ამის მიზეზად უმთავრესად გოგირდის და შაბიამანის უქონლობას, უამინდობას და მუშა ხელის სიმცირეს ასახელებენ. ღვინის ფასს დღე და დღე ემატება. ვაჭრები გამწარებულნი დარბიან და ხშირად ღვინოს გაუსინჯავად ყიდულობენ.

განჯა.

დაჰკეტეს „ზინგერის" ფირმის საკერავ მანქანების განყოფილება.

სოფ. გუბი (იმერეთი).

მდინარე გუბი ყოველ უბრალო წვიმის დროს კალაპოტს გადმოდის და მახლობელ ყანებს აფუჭებს. ეხლაც ბევრია აქ მის მიერ წალეკილი ყანები, რამაც ისედაც მოუსავლიან წელიწადს უარესი დღე დააყენა. საჭიროა მდინარის ნაპირების შეკეთება და გამაგრება.

დიდი-ჯიხაიში.

ახლად გახსნილს პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლაში მეცადინეობა დაიწყო.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ დ. ჩხარის ქრონიკაში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: სწერია: დ. ჩხარიდან სასამართლო უნდა გადიტანონ სოფელ თერქოლაში; უნდა იყვეს სოფ. თერჯოლაში.

რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

წერილი VIII *)

საერთოდ 1905—1907 წლები ოცნების ხანაა ივერიის ეკლესიის ისტორიაში. პოლიტიკურმა გაზაფხულმა გამაცოცხლებელი ნიავი იმ წოდებასაც დაჰბერა, რომელიც საუკუნოდ უძრავი და უკვე დრომოჭმული ეგონათ. აქ უცვლელად განმეორდა ის მოვლენა, რაც დიდი ხანია ახასიათებს ბიუროკრატიულ სამღვდელოებას,—გვიან გამოფხიზლება და დროზე გვიან გაჩუმება. სხვა წოდება-ჯგუფებთან შედარებით სამღვდელოებამ გვიან ამოიღო ხმა. მაგრამ სამაგიეროდ, როცა რეაქციამ ყველანი და ყველაფერი წელში მოჰხარა და ჩააჩუმა, სამღვდელოება თითქოს ინერციულად კიდევ განაგრძობდა შინ ოცნებას ეკლესიის აღდგენა-განახლებაზე, პრესაში „კანონმდებლობას", კრება-სხდომებზე პრტყელ-პრტყელ „რეჩებს". წირვა-ლოცვის წესრიგის შეცვლა, თეატრში სიარულის ნებართვა, გრძელ თმის და ანაფორის ტარების უაზრობა, მაფრთხობელა „ბლაღოჩინის" უფლებათა შემცირება, ბატონ მედავითნის მამა მღვდელთან უფლებრივი გათანასწორება, სამღვდელოების ჯვარ-მენდლებით დაჯილდოვების მავნებლობა—აი რა საკითხებს [illegible] მაშინ დროსა მალინოვისებურ ტკბილ ოცნებაში გართულნი.

პირადად მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზედ მოახდინა ვინმე ზაქ. მთისპირელის წერილმა სამღვდელოების სხვა და სხვა ჯილდოებით დასაჩუქრების უაზრობა-მავნებლობის შესახებ. ცხადად მახსოვს ის დილა, როდესაც ბ. ზაქ. მთისპირელის წერილი, რუსულად ნაწერი [1]), წითლად ჩამოვხაზე, ფრთხილად, თითქოს მეშინოდა არ დამფანტოდა ძვირფასი მარგალიტები, დავკეცე და შევინახე. ბ. ზაქ. მთისპირელი სრულიად უერთდებოდა რუსი მღვდლის ნ. რომანოვსკის აზრს, რომ სამღვდელოებისთვის არ უნდა არსებობდეს არავითარი გარეგანი ჯილდო გარდა მრევლისგან ნდობა-პატივცემისა. საგულისხმო სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ქართველ სამღვდელოების 1905 წლის მაისის და დეკემბრის კრებამ უარჰყო ყოველნაირი ჯილდო და მით განახლების გზას დაადგაო, მაგრამ იქვე იმ დროებით სამწუხაროდ, დღეს კი გასაოცარის სიცხადით წინასწარმეტყველებდა, რომ „подулъ другой вѣтеръ, и вчерашніе „обновленцы" попрятались кто куда, въ разные кусты... Впроченъ, tempora mutautur, и если держать носъ по вѣтру, можетъ быть и обойденные въ этомъ году, жаждущіе „наградъ" отцы, дойдутъ „до степеней извѣстныхъ“ "...

ასეთ ოცნებებში იყო გართული სამღვდელოება და მართლაც განახლების გზაზედ აპირობდა დადგომას, როცა მას შავარდენივით მოულოდნელად მოევლინა ექსარხოსად გამწესებული მთავარეპისკოპოსი ნიკონი. ის გულგრილობა, რომლითაც ჩვენი სამღვდელოება შეეგება ახალ უფროსს [2]) წლის 26 აგვისტოს, და ღია ბარათი, რომელიც ქართველ სამღვდელოების სახელით დაიბეჭდა „პეტროგრადის უწყებებში" [3]), გახდა ერთად-ერთი მიზეზი იმ მძიმე ბრალდებისა, რომელიც რუსეთის საზოგადოების ერთმა ნაწილმა თავს მოახვია ქართველ სამღვდელოებას განსვენებულ ნიკონის ტრაღიკულ აღსასრულისა გამო.

მაგრამ რომ ეს ურცხვი ბრალდება მხოლოდ ღვარძლის და ქუჩის ჭორის ნიადაგზედ აღმოცენდა და მარტოდ-მარტო მსგავსების, შესაძლებლობის ჰიპოტეზაზედ იყო დამყარებული, ეს ცხადია თუნდ იქიდან, რომ იმ დროებით ივერიის ეკლესიას არავითარი საბუთი არ ჰქონდა უკმაყოფილო ყოფილიყო უკვე ჩამოსულ ნიკონის ადმინისტრატიულ ნიჭით და მღვდელმთავრულ მოქმედებით. პირიქით, სწორედ ნიკონმა მოგვცა ის საარჩევნო უფლება, რომლის შესახებ ოცნებობდნენ მაშინ ჩვენის ეკლესიის მოკეთენი და რომელიც შეადგენდა სათავეში მოქცეულ ქართველ „მღვდელთა ჯგუფის აზრის" დედაბოძს. ეს „აზრი" გაზეთ „Тифлисъ-ში 1906 წლ. 12 ოქტომბერს (№ 16) გამოქვეყნებული, ჩვენ მოკლედ გადმოვიღეთ ქართულად, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენგან და „საქართველოს" რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ვერ დაიბეჭდა ჩვენს წინა წერილში [4]). ამ ორჭოფა უფლების უვარგისობა-მავნებლობა მხოლოდ ნიკონის განსვენების შემდეგ გამოირკვა და, მაშასადამე, ჩვენს სამღვდელოებას თუ საზოგადოებას არავითარი ფაქტიური თუ მორალური უკმაყოფილება არ ჰქონდა იმ დროის კეთილმყოფელად მიჩნეულ ექსარხოსთან.

(შემდეგი იქნება)

ახელი.

---

*) იხ. გაზ. „საქართველო" № 94.

[1]) გაზ. „Тифлисъ" 1907 წ. № 26.

[2]) დახვედრის ცერემონიალი იხ. გაზ. „Кавказъ" 1906 წლ. 27 აგვ. და „სიტყვა" № 13—14, გვ. 16.

[3]) „სიტყვა" № 11, გვ. 3—4.

[4]) იხ. „საქართველო" № 94, გამოტოვებული.

ინგლისი და სერბეთი

თემთა პალატაში ლენსდოუნმა ბევრი ილაპარაკა სოლუნის ექსპედიციის შესახებ, თუ რა ძალები გაგზავნა ინგლისმა სერბეთის დასახმარებლად, ჯართა რაოდენობა, საზოგადო ვითარება და სხვა. სამწუხაროდაო,—სთქვა მან,—ინგლისს ამ ხანად არ შეეძლო დიდი ძალების გაგზავნა, რადგანაც თვითონაც საკმაოდ არა ჰყავს დამზადებულიო. მაგრამ ვამზადებთ კი დიდ ძალებს. რას იზავს შემდეგში ინგლისი, რამდენს გაგზავნის, ან რა ღირსების ჯარს მიაშველებს, ეს ყოველთვის დამოკიდებული იქნება გარემოებისაგანაო. საბერძნეთის პოზიციის შესახებ ლენსდოუნმა შიში გამოსთქვა, რაკი სერბეთის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძოლის კამპანია არა საიმედოდ მიდის მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია რომ სერბეთმა გაუძლოს ავსტრო-გერმანელთა და ბულგართა იერიშებს. თქმა არ უნდა, საბერძნეთი შიშით ადვილად ხმას ვერ ამოიღებს და თუ ამოიღებს არა ჩვენდა საკეთილოდო. ინგლისის სამხედრო გეგმა უნდა შეუთანხმდეს საზოგადო სამხედრო მდგომარეობას და რა წამს მოკავშირეთა მაშველი ძალები მოვლენ, უნდა დაწვრილებით განხილულ იქმნეს, თუ რისთვის და სად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მხედრობის ძალაო. უეჭველია, ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ, რომ შევაფერხოთ მტრის წინსვლაო,—დაასკვნა ლენსდოუნმა.

პასუხად ბ-ნ გურჯაანელ კორესპონდენტს

„სახალხო ფურცლის" 382 ნომერში მოთავსებული იყო გურჯაანიდან ყალბი ცნობა, რომ გურჯაანის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა სესხს არ იძლევა და გაჭირვებული გლეხი იძულებულია ჩარჩის ხელში ჩავარდესო.

გამგეობამ კარგად იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ცნობა და ან რა მიზნით იყო იგი მოთავსებული, ამიტომ საჭიროდ სცნო ეს ცნობა დაერღვია უტყუარი ციფრებით, რომელთა სინამდვილის შემოწმება მუდამ შეიძლება ამხანაგობის დავთრებით. გამგეობის პასუხი (მოთავსებული „სახალხო ფურცლის" მე-387 ნომერში) არკვევდა, რომ არც ერთ გლეხს, **რომელსაც კი თავისუფალი კრედიტი ჰქონდა**, სესხზედ ამხანაგობა უარს არ ეუბნებოდა, რის დასამტკიცებლადაც აცხადებდა, რომ 18 დღეში გაეცა სესხი 2122 მან. და კასაში ჰქონდა მას ამ შემთხვევისთვის ათას თუმნამდე. მაგრამ გურჯაანელი კორესპონდენტი გაგვიჯიუტდა და სცდილობს („სახალხო ფურც." № 399) ყალბი ცნობის დამტკიცებას იმით, რომ წევრს ლალიძეს და რაქვიაშვილს გამგეობამ სესხზედ უარი უთხრა. პირდაპირ გასაოცარია, რომ ბ-ნ კორესპონდენტს იმდენი არ ესმის, ყოველივე საკრედიტო დაწესებულებას შეუძლიან რაიმე მოსაზრებით რომელიმე წევრს უარი უთხრას სესხზედ და ორი მაგალითი სესხის მიუცემლობისა (რაც უნდა ცნობილი კორესპონდენტი იყვეს რედაქციისათვის) უფლებას არ აძლევს ზოგადი ხასიათი მისცეს ამ მაგალითს და სთქვას, რომ ამხანაგობა სესხს არ იძლევაო. მეტადრე არ გვესმის როგორ შეიძლება რომელიმე საკრედიტო დაწესებულების ამხანაგობის მიერ სესხის მიუცემლობა საპოლემიკოდ გადაიქცეს პრესაში; მაშინ ხომ ჩვენი გაზეთები მარტო ბანკებს დასჭირდებოდა.

რაც შეეხება თვით ამ ორ შემთხვევას, რომელზედაც უფ. კორესპონდენტი გვითითებს, გამგეობა აცხადებს, რომ დ. ლალიძეს ამხანაგობაში ჰქონდა ნდობა 200 მანეთი (და არა 300 მან. როგორც კორესპონდენტი ამბობს) და ნასესხები აქვს 161 მან. 53 კაპ. ხოლო რადგან წევრთა მიმღებმა კომისიამ გამოარკვია, რომ დ. ლალიძეს არა აქვს საკუთრება და არც ღვინო, ამიტომ გამგეობას წინადადება მისცა არ მიეცა ლალიძისათვის იმაზედ მეტი რაც უკვე მართებდა. სესხის მიუცემლობითო ლალიძე ღვინოს „მუქთად ვერ გადალვრიდა", რადგან მას ეს ღვინო სრულიად არა ჰქონდა. რაც შეეხება წევრს რაქვიაშვილს—ამ გვარ შემთხვევას ამხანაგობაში ადგილი არა ჰქონია. ვიმეორებთ, რომ ღვინო ეხლაც კანტი-კუნტად იყიდება, ხოლო თუ ვინმემ გაყიდა 150 მანეთად, ამას ფართო ხასიათი სრულიად არა ჰქონია. ღვინო იმ ჟამად იყიდებოდა არა ნაკლებ 180—200 მანეთისა და ძმ. აჯიმამუდოვებმა დაიკვეთეს 20,000 მანეთის ღვინო კი არა, მათ იყიდეს 12,000 მანეთის დასაკრეფი ვენახები პირად, რაც ხალხისთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა, რადგანაც ძმათა აჯიმამუდოვებს ღვინო დაუჯდათ არა ნაკლებ ორასი მანეთისა საპალნე. და მათ არც ტკბილი და არც ღვინო იმ ხანებში სრულიად არ უყიდნიათ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც უნდა ნაყოფიერი იყვეს ამხანაგობის მოქმედება, განა შესაძლებელია, რომ მან აღებ-მიცემობა მოსპოს!!... კორესპონდენტს კი მეტი თავდაჭერა მართებს, როდესაც წვრილი სესხის საკრედიტო დაწესებულების შესახებ ცნობას გზავნის.

გამგეობის თავმჯდომარე გიორგი წინამძღვრიშვილი.

გამგეობის წევრები: მღვდელი გიორგი ციბალაშვილი და გიორგი ზარდიაშვილი.

მოანგარიშე გიორგი იაკობიშვილი.

შემოწირულება.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას კიევიდან მოუვიდა 53 მან. და 45 კ. აკაკის სახელობის ხალხურ სიტყვიერების ფონდისათვის. ფული შეუკრებია ბ-ნს იპოლიტე მიხეილის ძეს ჩხეტიას. ქართველ სტუდენტთა შორის. სია შემომწირველთა: გ. ვაჩნაძე 1 მ. 50 კ., ი. ჩხეტია 1. მ. 50 კ., ვ. და აპ. ჭეიშვილები 2 მ. 50 კ., სამ. ჩხიკვიშვილი 25 კ., ი. კარგარეთელი 50 კ., მ. ტყავაძე 50 კ., მ. მეძმარიაშვილი 50 კ., მ. აფაქიძე 1 მ. 50 კ., კ. ცივცივაძე 1 მ. 50 კ., დ. მარინაშვილი 1 მ., მ. ფხაკაძე 1 მ., ე. გაბრეჩიძე 1 მ.. ან. კილოსანიძე 75 კ., თაბუკაშვილი, ბრეგვაძე, ნ. დიდიძე, გუდიაშვილი, გოგიტიძე, ახმეტელაშვილი, გერსამია, ლ. წერეთლის ასულები, ქ. კარიჭაშვილი, თ. ქუთათელაძე ჩანჩალეიშვილი, ირემაშვილი, ბექაია, ლორთქიფანიძე, ველიზველი, ვაშაკიძე, გორგაძე, მაჭავარიანი, ნ. ჯორჯიკია, ი. ტყემალაძე, გ. გორგაძე, ი. მჭედლიშვილი, გ. კოტეტიშვილი, მ. ბაიდაშვილი, ნ. დიდებულიძე, ა. ჭიპაშვილი და დ. დუმბაძე ათ-ათი შაური, ფუხაშვილი, გამყრელიძე, ჯაფარიძე, კაჭარავა, ა. მატარაძე, ქ. ჯულელი, კალანდარაშვილი, ჩხიკვიშვილი, უკლებია, ყიფიანი, კაჭახიძე, კვირიკაძე, თუხარელი, გეგელიძე, ჯაფარიძე, მახვილაძე, კვიტაშვილი, ჩიჩუა, გაბიანი, ცერცვაძე, დ. წერეთელი, გ. შანიძე, გროზიანი, იაკობაშვილი, შ. კვანჭახაძე, ი. [illegible], ხუხუტაშვილი, ყუფარაძე, გაჩეჩილაძე, ჩიქოვანი, კანდელაკი, ქავთარაძე—ხუთ-ხუთი შაური; შათირიშვილი 1 მ., ხარაზიშვილი 20 კ., ზ.—20 კ., ნ. ხუციშვილი—1 მ. 50 კ., არველაძე 30 კ., პ. დათეშიძე 1 მ. 50 კ., ძმანი ლოლაბერიძენი 3 მ., ა. დანელია 3 მან., სოფ. ტუსკაევი 1 მ. და გ. ლოლაბერიძე 5 მან.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხაზინადარი

ირ. სონღულაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღევს	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევს	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს. 51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ.	დილ.
„ საგარ.	10 ს. 28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ.	დღ.

ქ. ქუთაისში 1915 წლის 15 ოქტომბრიდან, გამოვა ახალი ყოველდღიური
◆ სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი ◆
„მეგობარი"
გ. მაიაშვილის და კიტა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით. გაზეთი ეღირება წლიურად—8 მან; თვეში—80 კ.; ცალკე ნომერი 5 კაპ. პირველ ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე—2 მან. 50 კაპ. გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.
მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა. ჭილაძის სახლი, „მეგობრის" რედაქცია.
რედაქტ.-გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.
7—6

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება"
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია" (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი" ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები"—ბეგლარ ახოსპირელისა, „კოოპერატივები იტალიაში"—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартқиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სხვებრი სახ. „ლ. მაილოვის-ზვით", საპრეწველოებიდან ახალი ქვირიანი ზიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოზნი" ზიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მაღალი ხარისხის ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის , № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან